# EDPQS-ის 35 კომპონენტი

| საერთო საკითხები |
|---|
| A: სიმყარე და დაფინანსება |
| B: ურთიერთკომუნიკაცია და დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა |
| C: პერსონალის ორგანიზება და განვითარება |
| D: ნარკოდამოკიდებულების პროფილაქტიკის ეთიკური განზომილება |
| **1 მოთხოვნილებების შეფასება** |
| **1.1** ანტინარკოტიკული სტრატეგიებისა და კანონმდებლობის მიმოხილვა |
| **1.2** ნარკომოხმარებისა და საზოგადოების საჭიროებების შეფასება |
| 1.3 საჭიროების განსაზღვრა – ჩარევის აუცილებლობის დასაბუთება |
| 1.4 სამიზნე ჯგუფის განსაზღვრა |
| **2 რესურსის შეფასება** |
| 2.1 სამიზნე ჯგუფის და საზოგადოების რესურსის შეფასება |
| 2.2 საკუთარი პოტენციალის შეფასება |
| **3 პროგრამის ჩარჩოები** |
| **3.1** სამიზნე ჯგუფის განსაზღვრა |
| **3.2** თეორიული მოდელის გამოყენება |
| 3.3 სტრატეგიული, პროგრამული და ნაწილობრივი მიზნების განსაზღვრა |
| 3.4 რეალიზების ადგილის განსაზღვრა |
| 3.5 ეფექტურობის მტკიცებულებებზე დაყრდნობა |
| 3.6 გრაფიკის ჩამოყალიბება |
| **4 ჩარევის (ინტერვენციის) კონსტრუირება** |
| 4.1 პროექტირება ხარისხისა და ეფექტურობის გათვალისწინებით |
| 4.2 მოქმედებები არსებული ინტერვენციის (ჩარევის) მოდელის არჩევის შემთხვევაში |
| **4.3** ჩარევის მისადაგება სამიზნე ჯგუფისადმი |
| **4.4** მოქმედებები საბოლოო ევალუაციის დაგეგმვის შემთხვევაში |
| **5 რესურსების მობილიზაცია და მათი მართვა** |
| 5.1 პროგრამის დაგეგმვა -პროექტის გეგმის წარმოდგენა |
| **5.2** ფინანსური მოთხოვნების განსაზღვრა |
| **5.3** პროგრამის განმახორციელებელი გუნდის ჩამოყალიბება |
| 5.4 მონაწილეთა რეკრუტირება და მათი შენარჩუნება |
| 5.5 ჩარევის განხორციელებისათვის აუცილებელი მასალების მომზადება |
| 5.6 პროგრამის აღწერა |
| **6 რეალიზაცია და მონიტორინგი** |
| 6.1 მოქმედებები საპილოტე ინტერვენციის (ჩარევის) შემთხვევეში |
| 6.2 ჩარევის განხორციელება |
| 6.3 მონიტორინგი რეალიზაციის ფაზაში |
| 6.4 მოდიფიკაცია რეალიზაციის ფაზაში |
| **7 საბოლოო ევალუაცია** |
| 7.1 მოქმედებები შედეგის ევალუაციის შემთხვევაში |
| 7.2 მოქმედებები პროცესის ევალუაციის შემთხვევაში |
| **8 გავრცელება და სრულყოფა** |
| **8.1** გადაწყვეტილება პროგრამის გაგრძელების ან არგაგრძელების შესახებ |
| **8.2** ინფორმაციის გავრცელება პროგრამის შესახებ |
| 8.3 მოქმედებები საბოლოო ანგარიშის შემთხვევაში |

ყურადღები: გამარტივების მიზნით, პროექტების ეტაპები და კომპონენტები დანომრილ იქნა მაგრამ ნუმერაცია არ ასახავს არც ქრონოლოგიას და არც მნიშვნელობის იერარქიას.

## EDPQS-ის ცვლილების თეორია

კონტექსტი: პროფილაქტიკური მოქმედებები ყოველთვის არ არის „ საუკეთესო პრაქტიკის“ რეკომენდაციების და მეცნიერულ საფუძვლებზე აგებული დირექტივების შესაბამისი; პროფილაქტიკური სისტემები არასაკმარისადაა განვითარებული იმისათვის რომ ხარისხის გარანტიის დასაყრდენები იყვნენ; პროფესიული კულტურაც არ უზრუნველყოფს პირობებს პროფილაქტიკური მოდელების გამოყენებისათვის რომლებიც მეცნიერულ მტკიცებულებებს ეყრდნობა.

ვარაუდი: უნდა ვივარაუდოთ რომ სხვადასხვა ტიპის ბარიერები ხელს უშლიან ხარისხის მიღწევას პროფილაქტიკაში (მაგალითად: ერთიანი ხედვის არქონა იმის შესახებ თუ რას წარმოადგენს „მაღალი ხარისხი“ პროფილაქტიკაში). აგრეთვე უნდა ვივარაუდოთ რომ ხარისხის სტანდარტების შექმნისა და პოპულარიზაციისკენ მიმართულმა მოქმედებებმა შეიძლება ეფექტურად იმუშაონ ამ ბარიერების დაძლევაზე.

წვლილი → მოქმედებები → პროდუქტები → წვდომა → შედეგები → ეფექტი

### წვლილი

ხარისხის არსებული სტანდარტები და სპეციალიზირებული ცოდნა

„EDPQS-ის პოპულარიზატორები“: დაინტერესება, დრო, სპეციალიზირებული ცოდნა

პროფილაქტიკის ხარისხის ამამაღლებელი მოქმედებების დაფინანსება

პოტენციური მომხმარებლები: დაინტერესება, დრო, სპეციალიზირებული ცოდნა

მხარდამჭერი პარტნიორები: მაგალითად - პროფესიული კავშირები, მთავრობა, არასამთავრობო ორგანიზაციები

დამხმარე სტრუქტურები (პროფილაქტიკური სისტემები, პროფესიული კულტურა, პოლიტიკური კონტექსტი)

### მოქმედებები

EDPQS-ისა და დამატებითი მასალების დამუშავება პატნიორთა ჯგუფის მიერ პროფილაქტიკაში სტანდარტების დამკვიდრებისათვის

ხარისხის სტანდარტების თარგმნა, ადაპტაცია და გამოქვეყნება EDPQS-ის პოპულარიზატორების მიერ

EDPQS-ის გავრცელება ეფექტური სტრატეგიების საშუალებით

სარეალიზაციო მოქმედებები რომლებიც პროფილაქტიკის ხარისხს სისტემურ დონეზე უზრუნველყოფენ

### პროდუქტები

შესავალი მასალები

EMCDDA-ს სახელმძღვანელო

EMCDDA-ს მოკლე გაიდლაინი

ინსტრუქტაჟი თუ როგორ უნდა იქნას შერჩეული დასაფინანსებელი პროფილაქტიკური მოქმედებები და სხვა ტიპის მხარდაჭერა

დამოუკიდებელი შეფასების ინსტრუმენტები

სატრენინგო მასალები როგორც მხარდაჭერა EDPQS-ის გამოყენებაში

რეკომენდაციები EDPQS-ის თარგმნის, ადაპტაციისა და გავრცელების საკითხებში

სტანდარტების ახალი კომპლექტები რომლებიც EDPQS-ზე დაყრდნობითაა ადაპტირებული

გავრცელების პროდუქტები (მაგალითად: სემინარები)

### წვდომა

გადაწყვეტილების მიმღებები, სპონსორები და კოორდინატორები სხვადასხვა დონეებზე

პრაქტიკოსები, პროგრამების ხელმძღვანელები, პირველი ხაზის მუშაკები

პროგრამების შემქმნელები

შემფასებლები, ევალუაციის განმახორციელებლები

EDPQS-ის პოპულარიზატორები, ტრენერები

საზოგადოება, საბოლოო სამიზნე ჯგუფები

### შედეგები

გაცნობიერებულობა: გაცნობიერებული აქვთ EDPQS; აღიარებენ პროფილაქტიკის საჭიროებას რომელიც სამეცნიერო მტკიცებულებებს ეყრდნობა

მოტივაცია: აღიარებენ რომ EDPQS გამოსადეგია; მოტივირებულნი არიან რომ შეასრულონ EDPQS

უნარები: ესმით EDPQS-ის შინაარსი; ფლობენ EDPQS-ის გამოყენების უნარებს

მიღება: იყენებენ EDPQS-ს პროფილაქტიკური ღონისძიებების დაგეგმვისა და მათი განხილვისათვის

განხორციელება: EDPQS-ზე დაყრდნობით შეიმუშავებენ და აუმჯობესებენ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს

### ეფექტი

პროფილაქტიკის უფრო მაღალი ხარისხი

ცვლილებები პროფილაქტიკის პროფესიულ კულტურაში (ანუ დაბალი ხარისხის მიუღებლობა)

უკეთესი შედეგები სამიზნე ჯგუფებში

## „Stella” - მაგალითის შესწავლა (Case Study): პროექტის აღწერა

„სტელა” - წარმოადგენს ზოგადეროვნული დონის სასკოლო პროფილაქტიკურ პროგრამას. პროგრამის სამიზნე ჯგუფია 15-17 წლის მოსწავლეები. პროგრამა შემუშავდა იმ მიზნით რომ მოზარდებში შემცირებულიყო ალკოჰოლის, თამბაქოს, არალეგალური ნარკოტიკებისა მოხმარება და აგრეთვე სარისკო ქცევები. პროგრამის მიზანია მონაწილეთა ცნობიერების ამაღლება, ცოვრებისეული უნარებისა და გამძლეობის ჩამოყალიბება, იგი ახალგაზრდებს ეხმარება მათი ძლიერი მხარეების პოვნასა და განვითარებაში. პროგრამა ეყრდნობა მრავალრიცხოვან თეორიულ მოდელებს (მათ შორის სოციალური სწავლების თეორიას) და აგრეთვე პროფესიულ ლიტერატურას ეფექტური პროფილაქტიკური გადაწყვეტების სფეროდან.

კლასში მოქმედებები ტარდება დატრენინგებული მასწავლებლების მიერ, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით. იგივე მოქმედებები ტარდება მთელი ქვეყნის მასშტაბით, ყველა იმ სკოლაში რომლებიც პროგრამაში არიან ჩართულები. პროცესი ეყრდნობა იგივე მასალებს. სკოლას თვითონ შეუძლია აირჩიოს თუ როგორი სისტემით განახორციელებს პროგრამას: ყოველკვირეული სესიების ფორმით (15 ერთეული რომელთა ხანგრძლივობაც 50 წუთია) თუ ბლოკური სისტემით (რამდენიმე თვეზე გადანაწილებული ინტენსიური მუშაობის რამდენიმე დღე). პროგრამა ეყრდნობა ინტერაქტიულ მეთოდებს როგორიცაა: დისკუსია, ფსიქოდრამა და ფილმების წარმოება. მოსწავლეები იღებენ სავარჯიშოების რვეულს რომელიც დამუშავდა უმაღლესი სასწავლებლის მეცნიერ-თანამშრომლების მიერ.

მასწავლებლების ტრენინგი ოთხი დღე გრძელდება და იგი ეხება პროგრამის შინაარსსა და მის რეალიზაციას. მასწავლებლები სწავლობენ თუ როგორ აარიდონ თავი სარისკო სიტუაციებს პროგრამის რეალიზაციის პროცესში (მაგალითად: მოსწავლეთა ერთი ჯგუფის მიერ მეორე ჯგუფის დამცირება და ა. შ.) და აგრეთვე როგორი რეაგირება მოახდინონ შესაძლო ინციდენტებზე (მაგალითად: მოსწავლე აღიარებს რომ ის ნარკოტიკებს მოიხმარს). მასწავლებლები აგრეთვე ეცნობიან შესაბამის სამართლებრივ რეგულაციებს და იღებენ არსებით ინფორმაციას სხვადასხვა ნივთიერებების შესახებ. ისინი აგრეთვე იღებენ ცოდნას იმის შესახებ თუ როგორ ზეგავლენას ახდენენ აღნიშნული ნივთიერებები ახალგაზრდებზე.

მონაცემები პროცესის შესახებ მუდმივად გროვდება. ყოველი სესიის შემდეგ მასწავლებელი ავსებს კითხვარს. იგი აფიქსირებს ინფორმაციას იმის შესახებ თუ როგორ ჩაიარა სესიამ და მოხდა თუ არა სესიის განხორციელება სახელმძღვანელოს მიხედვით. მასწავლებლებისგან მოპოვებული საპასუხო ინფორმაცია პროგრამის სრულყოფისათვის გამოიყენება, ისე რომ შემდეგ სასწავლო წელს შესაძლებელი იყოს გაუმჯობესებული ვერსიის შეთავაზება. პროცესის ევალუაციის ფორმალური ანგარიში ხელმისაწვდომი არ არის.

ერთ-ერთ რეგიონში განხორციელებულ იქნა პროექტის საპილოტე ვერსია რათა შემოწმებულიყო შემდეგი საკითხი: ახდენს თუ არა ინტერვენცია დაგეგმილი ცვლილებების გენერირებას მონაწილეებში. ევალუაცია ჩაატარა სპეციალისტმა. სკოლის კლასები დაიყო ექსპერიმენტულ და საკონტროლო ჯგუფებად. გათვალისწინებული იყო რანდომიზაცია და შემთხვევითი სინჯები მაგრამ პრაქტიკული შეზღუდვების არსებობის გამო მათ შედეგი არ მოუტანიათ. გამოყენებულ იქნა ბევრი საევალუაციო მაჩვენებელი, მათ შორის ანკეტები რომლებიც აკრძალული ნივთიერებების შესახებ ცოდნას და მოხმარების შესახებ დეკლარირებას შეეხებოდა. გაზომვები ანონიმური კითხვარების საშუალებით ჩატარდა ინტერვენციის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე და მისი დამთავრებიდან ერთი კვირის შემდეგ. საპილოტაჟე კვლევის შედეგები გამოყენებულ იქნა ინტერვენციის განსახილველად რომელიც შემდეგ მთელ ქვეყანაში განხორციელდა.

ინფორმაცია პროგრამა “სტელას“ შესახებ ხელმისაწვდომია პროექტის ინტერნეტ-გვერდზე. იქვეა განლაგებული სხვადასხვა სექციები დაინტერესებული სკოლებისათვის, ახალგაზრდებისათვის და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებისათვის. სიახლეები პროგრამა „სტელას“ შესახებ რეგულარულად ჩნდება სოციალური ქსელების გვერდებზე (მაგალითად: ფეისბუქი, ტვიტერი და ა. შ.). შედეგის ევალუაციის მონაცემები გამოქვეყნდა სამეცნუერო ჟურნალში.

*შენიშვნა: წარმოდგენილი შემთხვევის ანალიზი გამოგონილი პროგრამის - „სტელას“ შესახებ - დამუშავდა მხოლოდ და მხოლოდ მოცემულ ტრენინგის საჭიროებებისათვის. აღწერა ეყრდნობა რეალური პროფილაქტიკური პროგრამის დეტალებს. გამიზნულად იქნა შეტანილი გარკვეული ცვლილებები მოცემული ტრენინგის თავისებურებებიდან გამომდინარე. აქედან გამომდინარე ზემოთ მოტანილი აღწერა ბოლომდე ვერ ასახავს საწყისი მოდელის ფაქტიურ მდგომარეობას.*

# „Stella” - მაგალითის შესწავლა (Case Study): პასუხების ნიმუშები

*შენიშვნა: ქვემოთ მოცემული პასუხები არ წარმოადგენს დაკვირვების ერთადერთ შედეგს რომლებიც პროექტთან მიმართებაში შეიძლება არსებობდეს. აღნიშნული პასუხები გვიჩვენებენ EDPQS-ის გამოყენების მეთოდებს პროფილაქტიკური მოქმედებების განხილვისას.*

| პროექტის აღწერა | კომენტარი | EDPQS |
|---|---|---|
| „სტელა“ წარმოადგენს სასკოლო პროფილაქტიკურ პროგრამას რომმელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით ხორციელდება. | განისაზღვრა პროგრამის რელიზაციის ადგილი და მისი ტერიტორიული გაშლილობა. | 3.4 |
| ის შემუშავდა 15-17 წლის lat. | განისაზღვრა სამიზნე ჯგუფი. | 3.1 |
| პროგრამა შემუშავდა იმ მიზნით რომ მოზარდებში შემცირებულიყო ალკოჰოლის, თამბაქოს, არალეგალური ნარკოტიკებისა მოხმარება და აგრეთვე სხვა სარისკო ქცევები. | მკაფიოდ განსაზღვრავს პროფილაქტიკური საქმიანობის საგანს. თუმცა გაუგებარია თუ რას მოიცავს ცნება: „სხვა სარისკო ქცევები“. | 3.3 |
| ივარაუდება რომ პროგრამის მიზნები მიღწეულ იქნება მონაწილეთა გათვითცნობიერებულობისა და გამძლეობის გაძლიერებით და ცხოვრებისეული უნარების გამდიდრებით. | განსაზღვრულია მედიატორები - როგორც ჩანს პროგრამა ეყრდნობა ცვლილების თეორიას. | 3.2; 3.3 |
| პროგრამის მიზანია ახალგაზრდების დახმარება საკუთარი ძლიერი მხარეების გამოვლენაში და მათ განვითარებაში. | პროგრამა მეტ აქცენტს აკეთებს ძლიერ მხარეებზე და ნაკლებს სუსტებზე. პროგრამის მიზანია ახალგაზრდების აღჭურვა ისეთი უნარებით რომ მათ თვითონ შეძლონ საკუთარ თავის დახმარება. | 4.1 |
| პროგრამა სარგებლობს ბევრი თეორიული მოდელით როგორიცაა მაგალითად - სოციალური გავლენის თეორია. პროგრამა აგრეთვე სარგებლობს პროფესიული ლიტერტურის მრავალი წყაროთი რომლებიც პროფილაქტიკაში არსებულ ეფექტურ გადაწყვეტებს ეხება. | ეყრდნობა ქცევის ცვლილების აქტუალურ თეორიას. ასევე ეურდნობა ეფექტურობის დოკუმენტირებულ მტკიცებულებებს. რა წყაროებია გამოოყენებული? | 3.2; 3.5 |
| კლასში მოქმედებების რეალიზება ხდება დატრენინგებული მასწავლებლების მიერ, სახელმძღვანელოზე დაყრდნობით. | განსაზღვრულია რეალიზების ადგილი. საუბარია მაწსწავლებლების ტრენინგზე. | C; 3.4 |
| იგივე მოქმედებები ტარდება მთელი ქვეყნის მასშტაბით, ყველა იმ სკოლაში რომლებიც პროგრამაში არიან ჩართულები და პროცესი ეყრდნობა იგივე მასალებს. | სადისკუსიო საკითხი - ეს ნიშნავს რომ პროგრამა არ არის მისადაგებული ცალკეული სკოლის პირობებისადმი. უცნობია რა მოთხოვნილებების შეფასებას ეყრდნობა პროგრამა. | 1.2; 4.3 |
| სკოლას თვითონ შეუძლია აირჩიოს თუ როგორი სისტემით განახორციელებს პროგრამას: ყოველკვირეული სესიების ფორმით (15 ერთეული რომელთა ხანგრძლივობაც 50 წუთია) თუ ბლოკური სისტემით (რამდენიმე თვეზე გადანაწილებული ინტენსიური მუშაობის რამდენიმე დღე). | ელასტიურობა ბენეფიციარის საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით. | B; 3.6; 5.4 |
| პროგრამა ეყრდნობა ინტერაქტიულ მეთოდებს როგორიცაა: დისკუსია, ფსიქოდრამა და ფილმების წარმოება. | ისეთი მეთოდების გამოყენება რომლებიც სამიზნე ჯგუფის გააქტიურებას შეუწყობენ ხელს. | 4.1 |
| მოსწავლეები იღებენ სავარჯიშოების რვეულს რომელიც დამუშავდა უმაღლესი სასწავლებლის მეცნიერ-თანამშრომლების მიერ. | სადისკუსიო საკითხი - მონაწილეობდნენ თუ არა სამიზნე ჯგუფის წევრები სავარჯიშოთა რვეულის შემუშავებაში? რა მეთოდებით შეიმუშავეს სპეციალისტებმა სავარჯიშოები? არა არის წარმოადგენილი ინფორმაცია მოსწავლეთათვის განკუთვნილი სავარჯიშოების რვეულის თემატიკისა და მიმზიდველობის შესახებ. | 1.4; 5.5 |
| მასწავლებლების ტრენინგი ოთხი დღე გრძელდება და იგი ეხება პროგრამის შინაარსსა და მის რეალიზაციას. | პროგრამის განმახორციელებლების საფუძვლიანი და შესაბამისი დატრენინგება. | C |
| მასწავლებლები სწავლობენ თუ როგორ აარიდონ თავი სარისკო სიტუაციებს პროგრამის რეალიზაციის პროცესში (მაგალითად: მოსწავლეთა ერთი ჯგუფის მიერ მეორე ჯგუფის დამცირება და ა. შ.) და აგრეთვე როგორი რეაგირება მოახდინონ შესაძლო ინციდენტებზე (მაგალითად: მოსწავლე აღიარებს რომ ის ნარკოტიკებს მოიხმარს). | პროგრამის განმახორციელებლები ეცნობიან ეთიკურ საკითხებს. | D |

| | | |
|---|---|---|
| მასწავლებლები აგრეთვე ეცნობიან შესაბამის სამართლებრივ რეგულაციებს და იღებენ არსებით ინფორმაციას სხვადასხვა ნივთიერებების შესახებ. ისინი აგრეთვე იღებენ ცოდნას იმის შესახებ თუ როგორ ზეგავლენას ახდენენ აღნიშნული ნივთიერებები ახალგაზრდებზე. | უზრუნველყოფილ იქნა რომ ტრენერებს ჰქონდეთ შესაბამისი ცოდნა ინტერვენციის სფეროს შესახებ. | D; 1.1 |
| მონაცემები პროცესის შესახებ მუდმივად გროვდება. ყოველი სესიის შემდეგ მასწავლებელი ავსებს კითხვარს. იგი აფიქსირებს ინფორმაციას იმის შესახებ თუ როგორ ჩაიარა სესიამ და მოხდა თუ არა სესიის განხორციელება სახელმძღვანელოს მიხედვით. | მითითებულ იქნა თუ პროცესის ევალუაციისთვის რა მაჩვენებლებია გამოყენებული. | 4.4 |
| მასწავლებლებისგან მოპოვებული საპასუხო ინფორმაცია პროგრამის გასაანალიზებლად და მისი სრულყოფისათვის გამოიყენება, ისე რომ შემდეგ სასწავლო წელს შესაძლებელი იყოს პროგრამის გაუმჯობესებული ვერსიის შეთავაზება. | ევალუაციის შედეგები გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესებისათვის. სადისკუსიო საკითხი - როგორც ჩანს მონაცემები პროცესის შესახებ მხოლოდ მასწავლებლებისგან იკრიბება. რა ხდება სამიზნე ჯგუფთან მიმართებაში? | 4.4; 6.4; 8.1 |
| პროცესის ევალუაციის ფორმალური ანგარიში ხელმისაწვდომი არ არის. | როგორ მოვიპოვოთ ინფორმაცია ევალუაციის შესახებ თუ ფორმალურ ანგარიშზე არ გვექნება წვდომა? მოხდა თუ არა ინტერვენციის განხორციელების პროცესის დოკუმენტირება? | 6.2; 7.2; 8.3 |
| ერთ-ერთ რეგიონში განხორციელებულ იქნა პროექტის საპილოტე ვერსია რათა შემოწმებულიყო შემდეგი საკითხი: ახდენს თუ არა ინტერვენცია დაგეგმილი ცვლილებების გენერირებას მონაწილეებში. | საპილოტაჟე ინტერვენცია ქვეყნის მასშტაბით რეალიზაციამდე. ეხება „ მონაწილეებს შორის სასურველ ცვლილებებს“ (შედეგები). თუმცა რამდენად არის გამოკვლეული მოქმედებათა შესრულებადობა? | 6.1 |
| ევალუაცია ჩაატარა სპეციალისტმა. | ევალუაციაზე პასუხისმგებელია შესაბამისი პირი. | 4.4 |
| სკოლის კლასები დაიყო ექსპერიმენტულ და საკონტროლო ჯგუფებად. გათვალისწინებული იყო რანდომიზაცია და შემთხვევითი სინჯები მაგრამ პრაქტიკული შეზღუდვების არსებობის გამო მათ შედეგი არ მოუტანიათ. | საკონტროლო მოქმედებების პირობები.<br>დაგეგმილია მკაცრი სამეცნიერო სქემა თუმცა როგორი იყო „პრაქტიკული შეზღუდვები“? როგორ იქნა განაწილებული კლასები? | 4.4 |
| გამოყენებულ იქნა ბევრი საევალუაციო მაჩვენებელი, მათ შორის ანკეტები რომლებიც აკრძალული ნივთიერებების შესახებ ცოდნას და მოსწავლეების მიერ მოხმარების შესახებ დეკლარირებას შეეხებოდა. | საევალუაციო მაჩვენებლები - მოცემულია მაგალითები. | 4.4 |
| გაზომვები ანონიმური კითხვარების საშუალებით ჩატარდა ინტერვენციის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე და მისი დამთავრებიდან ერთი კვირის შემდეგ. | ანონიმური კითხვარები = ეს ნიშნავს ეთიკურ პროცესს. გაზომვები პროგრამის რეალიზაციამდე და რეალიზაციის შემდეგ.<br>დაგეგმილია თუ არა გრძელვადიანი გაზომვები? | D; 5.4; 6.2 |
| საპილოტაჟე კვლევის შედეგები გამოყენებულ იქნა ინტერვენციის სრულყოფისათვის და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება პროექტის მთელ ქვეყანაში განხორციელების შესახებ. | ევალუაციის შედეგები გამოყენებულ იქნა პროგრამის სრულყოფისათვის.<br>ქვეყნის მასშტაბით ინტერვენციის განხორციელების იდეას ჰქონდა თუ არა სოლიდური მტკიცებულებები? | 6.1; 8.1 |
| პროექტ „სტელას“ თავისი ინტერნეტ-გვერდი აქვს. | ინფორმაცია პროგრამის შესახებ საჯაროდაა ხელმისაწვდომი. | 5.6; 8.2 |
| ინტერნეტ-გვერდზე განლაგებულია სხვადასხვა სექციები დაინტერესებული სკოლებისათვის, ახალგაზრდებისათვის და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებისათვის. | გამოვლინდა დაინტერესებული ჯგუფების სხვადასხვა კატეგორიები. ინფორმაციები მისადაგებულია საჭიროებებისადმი (შენიშნული საჭიროებებისადმი).<br>Jednak, jakie informacje są dostępne? | B; 5.6 |
| სიახლეები პროგრამა „სტელას“ შესახებ რეგულარულად ჩნდება სოციალური ქსელების გვერდებზე (მაგალითად: ფეისბუქი, ტვიტერი და ა. შ.). | ადამიანების ჩართვისა და მათგან აქტუალური ინფორმაციების მიღების საშუალება. თუმცა ადამიანები რომლებიც ინფორმაციას ამ არხებით იღებენ - საზოგადოების წევრები არიან (ფართო გაგებით), სამიზნე ჯგუფის წევრები თუ სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები? | B |
| შედეგის ევალუაციის მონაცემები გამოქვეყნდა სამეცნიერო ჟურნალში. | პროექტის შესახებ ინფორმაციის მიღება სამეცნიერო წრეების მეშვეობით. თუმცა შეუძლია თუ არა საზოგადოებას აგრეთვე გაეცნოს ამ შედეგებს? | B; 8.2; 8.3 |

## *ძლიერი მხარეების მაგალითები რომლებსაც შეიძლება ყურადღება მივაქციოთ:*

- არსებულ სამეცნიერო მტკიცებულებებზე დაყრდნობა (EDPQS 3.2; 3.5)
- ინტერაქტიული, აქტიური მეთოდების გამოყენება (EDPQS 4.1)
- ორიენტირება ძლიერ მხარეებზე (EDPQS 4.1)
- პერსონალის ტრენინგი (EDPQS C)
- დაინერგა პროცესისა და შედეგის ევალუაციის ელემენტები (EDPQS 4.4; 7.1; 7.2)
- ინფორმაცია პროექტის შესახებ ხელმისაწვდომია (EDPQS B; 5.4; 5.6; 8.2)

## *სუსტი მხარეების მაგალითები რომლებზეც შეიძლება ყურადღების მიქცევა, მათ შრის პროექტის სრულყოფის მეთოდების მაგალითები:*

- პროექტი არის უნივერსალური პროფილაქტიკის მაგალითი რაც ნიშნავს რომ იგი ხორციელდება ყველა მოსწავლესთან, მიუხედავად რისკის დონისა. გათვალისწინებულია თუ არა მხარდაჭერა რეალიზაციის ფაზაში მაღალი რისკის ჯგუფებში დაკვალიფიცირებული მოსწავლეებისათვის? პროექტი შეიძლება შეივსოს ან გაერთიანდეს სხვა მიზნობრივ სერვისებთან. (EDPQS D; 4.1)
- ნათელი არ არის კავშირი პროექტ „სტელასა“ და სამიზნე ჯგუფის საჭიროებებს შორის, ისევე როგორც სხვა მოქმედებებს შორის რომლებითაც უკვე სარგებლობს სამიზნე ჯგუფი. ჩატარდა თუ არა ლოკალური ადგილობრივი საჭიროებების შეფასება (EDPQS 1.2-1.4, 4.3)
- გრძელვადიანი საკონტროლო კვლევების არარსებობა (EDPQS 4.4; 7.1)
- (EDPQS D; 4.1)

## *ზოგიერთი სფერო რომელიც განმარტებას საჭიროებს:*

- როგორ გამოიყურება პროექტის დაფინანსება? როგორ იზრუნეს პროექტის სიმყარეზე? (EDPQS A; 2.2)
- ემყარება თუ არა პროექტი წერილობით ეთიკურ კოდექსს? (EDPQS D)
- რა დონეზე მონაწილეობდა სამიზნე ჯგუფი პროგრამის შემუშავებაში? მოხდა თუ არა საჭიროებების შეფასება ინტერვენციის შინაარსის დაზუსტებისათვის? (EDPQS B; 1.2; 1.3; 1.4; 2.1; 4.3)
- რა სახით ავსებს პროექტი სხვა მოქმედებებს რომლებიც აქამდე შესრულებულა სამიზნე ჯგუფთან მიმართებაში? (EDPQS B; 1.3)
- რა დეტალურ წესებსა და ტექნიკას ეყრდნობა მოსწავლეებთან მუშაობა? რა ინფორმაციებს შეიცავენ მოსწავლეებისათვის განკუთვნილი სავარჯიშოების რვეულები? როგორ გამოიყურება სავარჯიშოების რვეულები?(EDPQS 4.1; 5.5)
- პროექტის შესახებ რა ინფორმაციებს იღებენ მოსწავლეები? როგორ ეცნობიან მოსწავლეები პროგრამაში მონაწილეობის წესებს?(EDPQS D; 5.6)
- როგორ ხდება პროგრამისათვის მასწავლებლების რეკრუტირება? უნდა დააკმაყოფილონ თუ არა მათ განსაზღვრული კრიტერიუმები? (EDPQS C; 5.3)
- როგორ გამოიყურება პროექტის შიდა მენეჯმენტი? რა დრო არის მთლიანად გამოყოფილი პროექტის რეალიზაციისათვის? (EDPQS 3.6; 5.1; 5.2)
- ხდება თუ არა პროექტის რეალიზაციის პროცესის პერიოდული განხილვა? (EDPQS 6.3)
- დაგეგმილია თუ არა გრძელვადიანი საკონტროლო კვლევები და დამატებითი ევალუაციები? (EDPQS 4.4)
- როგორი შედგები ჰქონდა შედეგისა და პროცესის ევალუაციას? (EDPQS 7.1; 7.2)
- პროექტთან დაკავშირებით გათვალისწინებულია თუ არა რაიმე საფრთხე? მაგალითად: შეიძლება თუ არა ინტერვენციამ მოსწავლეებში რაიმე არასასურველი შედეგები გამოიწვიოს? როგორ ხდება სკოლის ინფორმირება ინტერვენციასთან დაკავშირებული პოტენციური სარგებლისა და საფრთხეების შესახებ? (EDPQS D; 5.6; 7.1)
- დაცულია თუ არა ინტერვენცია საავტორო უფლებით? არსებობს თუ არა ინტერვენციის დამოუკიდებელი ევალუაციების ჩატარების შესაძლებლობა? (EDPQS).